

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შერჩევის საბჭოების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სისტემაში (შემდგომში - სისტემა) სამხედრო მოსამსახურეთა შერჩევის საბჭოების (შემდგომში - შერჩევის საბჭო) შემადგენლობას, ამოცანებს, ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, სტრუქტურასა და მათი საქმიანობის წესს.
2. შერჩევის საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს (დასკვნებს) სისტემაში პირადი შემადგენლობის მართვის საკითხებზე.

მუხლი 2. შერჩევის საბჭოს საქმიანობის პრინციპები

შერჩევის საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს თავდაცვის მინისტრისა (შემდგომში - მინისტრი) და საქართველოს თავდაცვის ძალების (შემდგომში - თავდაცვის ძალები) მეთაურის სამართლებრივი აქტებით, ამ დებულებით და თავის საქმიანობას წარმართავს სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და სამხედრო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებზე დაყრდნობით.

თავი II
შერჩევის საბჭოს ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 3. შერჩევის საბჭოს ამოცანები

შერჩევის საბჭოს ამოცანაა სისტემაში სამხედრო მოსამსახურეთა შერჩევის, მათ შორის კვალიფიკაციის ასამაღლებლად წარგზავნის, თანამდებობრივი და წოდებრივი დაწინაურების პროცესების გამჭვირვალედ წარმართვა სანდოობისა და სამართლიანობის განცდის ასამაღლებლად.

მუხლი 4. შერჩევის საბჭოს ფუნქციები

1. შერჩევის საბჭო ახორციელებს სისტემაში პირადი შემადგენლობის შერჩევას სამხედრო პერსონალის მართვის სისტემის ფარგლებში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2. შერჩევის საბჭოს ფუნქციებია:

- ა) თანამდებობაზე დასანიშნად შერჩევა, რომელთა ნუსხა განისაზღვრება ამ დებულებით;
- ბ) კვალიფიკაციის მისაღებად/ასამაღლებლად ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლად (გრძელვადიანი - ერთ თვეზე მეტი ვადით სწავლება) წარსაგზავნად შერჩევა;
- გ) წოდებრივი (კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით) დაწინაურებისთვის შერჩევა;
- დ) სისტემაში შენარჩუნების ან სხვა სპეციალური მიზნით შერჩევა;
- ე) შეფასების შედეგების გასაჩივრებაზე გადაწყვეტილების მიღება.

თავი III

შერჩევის საბჭოს სახეობები, შემადგენლობა და უფლებამოსილება

მუხლი 5. შერჩევის საბჭოს სახეობები

1. შერჩევის საბჭოს სახეობებია:

- ა) შერჩევის უმაღლესი საბჭო;
- ბ) უფროს ოფიცერთა შერჩევის საბჭო;
- გ) უმცროს ოფიცერთა შერჩევის საბჭო;
- დ) სერჟანტთა შერჩევის საბჭო.

2. შერჩევის საბჭოს თითოეული სახეობის ფარგლებში ერთდროულად შეიძლება შეიქმნას რამოდენიმე მოქმედი შემადგენლობა, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა.

მუხლი 6. შერჩევის საბჭოს ზოგადი უფლებამოსილებანი

შერჩევის საბჭო, კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

- ა) გაეცნოს და დეტალურად განიხილოს შესარჩევ სამხედრო მოსამსახურეთა პირადი საქმეები;
- ბ) შეარჩიოს შესაბამის კანდიდატებს შორის საუკეთესო და განახორციელოს კანდიდატების პრიორიტეტიზაცია სასწავლო კურსებზე წარსაგზავნად;
- გ) საჭიროების შემთხვევაში, დამატებით კონსულტაციებზე მოიწვიოს სამხედრო მოსამსახურეები და შესაბამისი სპეციალისტები;
- დ) სათანადო აუცილებლობის შემთხვევაში, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებიდან მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია და მასალები;
- ე) წოდებრივი დაწინაურების შერჩევის დროს განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ;
- ვ) შესაბამის ქვედანაყოფს მოთხოვოს სამხედრო მოსამსახურის სპეციალური შეფასება;
- ზ) მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება და შედეგები ასახოს შესაბამის ოქმში;
- თ) გააუქმოს შერჩევის საბჭოს გადაწყვეტილება, ამ დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- ი) განახორციელოს ამ დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 7. შერჩევის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა და უფლებამოსილება

1. შერჩევის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

- ა) შერჩევის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - თავდაცვის ძალების მეთაური;
- ბ) შერჩევის უმაღლესი საბჭოს თანათავმჯდომარე - მინისტრის პირველი მოადგილე;
- გ) შერჩევის უმაღლესი საბჭოს წევრები:
 - გ.ა) მინისტრის ყველა მოადგილე;
 - გ.ბ) თავდაცვის ძალების მეთაურის პირველი მოადგილე;
 - გ.გ) თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე-გენერალური შტაბის უფროსი;
 - გ.დ) თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე.
- დ) ამ პუნქტის:

დ.ა) „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შერჩევის უმაღლესი საბჭოს რომელიმე წევრის არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს წევრად განისაზღვროს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი;

დ.ბ) „გ.ბ-გ.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შერჩევის უმაღლესი საბჭოს რომელიმე წევრის არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს წევრად განისაზღვროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის (შემდგომში - გენერალური შტაბი) J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი.

2. შერჩევის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება ერთ-ერთი თავმჯდომარე და 6 (ექვსი) წევრი.

3. შერჩევის უმაღლესი საბჭო განიხილავს:

ა) თანამდებობაზე შერჩევის საკითხებს სისტემაში შემდეგი თანამდებობებისათვის:

ა.ა) თავდაცვის ძალებში შემავალი ქვედანაყოფის უფროსი/მეთაური და მოადგილე (გარდა თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის და სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტებისა) და გენერალური შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი/მოადგილე;

ა.ბ) სარდალი და სარდლის მოადგილე;

ა.გ) სარდლობის შტაბის უფროსი;

ა.დ) თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსი;

ა.ე) თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების შტაბის უფროსი;

ა.ვ) სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორი;

ა.ზ) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი, რექტორის პირველი მოადგილე, რექტორის მოადგილე, რექტორის მოადგილე - შტაბის უფროსი;

ბრძანება NMOD 4 20 00000684 19.09.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ა.თ) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმაღლესი სამეთაურო სკოლის მეთაური, სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის მეთაური;

ბრძანება NMOD 4 20 00000684 19.09.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ა.ი) ბრიგადის/ცენტრის მეთაური/უფროსი („პოლკოვნიკი“-ს საშტატო კატეგორიის);

ა.კ) სამინისტროს თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტის სამხედრო თანამდებობები;

ბრძანება N MOD 5 20 00000469 09.07.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ა.ლ) თავდაცვის ძალების მთავარი სერჟანტი;

შენიშვნა: 2022 წლის პირველ იანვრამდე თავდაცვის ძალებში შემავალი ქვედანაყოფის უფროსის/მეთაურის/სარდლის (გარდა თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის და სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტებისა) და გენერალური შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის თანამდებობაზე კანდიდატების განხილვისას პრიორიტეტი ენიჭებათ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც დამთავრებული აქვთ თავდაცვის უმაღლესი პროგრამა (ომის კოლეჯი), ხოლო 2022 წლის პირველი იანვრიდან, აღნიშნული ასევე გავრცელდება შერჩევის უმაღლესი საბჭოს ქვემდებარე პოლკოვნიკის და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის საშტატო კატეგორიებით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დანიშვნისას.

ბ) საზღვარგარეთ თავდაცვის უმაღლეს პროგრამაზე წარსაგზავნი იმ კანდიდატების შერჩევის საკითხებს, რომლებიც დანიშნულნი არიან შემდეგ თანამდებობებზე და აკმაყოფილებენ ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფციის მოთხოვნებს:

ბ.ა) თავდაცვის ძალებში შემავალი ქვედანაყოფის უფროსი/მეთაური ან მოადგილე;

ბ.ბ) გენერალური შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი/მოადგილე;

ბ.გ) სარდალი და სარდლის მოადგილე;

ბ.დ) სარდლობის შტაბის უფროსი;

ბ.ე) თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსი;

ბ.ვ) თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების შტაბის უფროსი;

ბ.ზ) ბრიგადის/ცენტრის მეთაური/უფროსი;

ბ.თ) სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი (რექტორი, რექტორის მოადგილე, დირექტორი, სკოლის მეთაური, აკადემიის მეთაური, ცენტრის მეთაური/უფროსი, კოლეჯის მეთაური);

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანამდებობაზე დანიშვნის პოტენციალის მქონე სამხედრო მოსამსახურეების საკითხებს, რომლებიც შერჩევის საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ ჩაერთვებიან ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კანდიდატების შერჩევის პროცედურებში;

დ) მთავარი სერჟანტის კურსზე წარსაგზავნი კანდიდატების შერჩევის საკითხებს;

ე) „პოლკოვნიკი“-ს სამხედრო წოდებაზე დაწინაურების საკითხებს;

ვ) შერჩევის საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ამ დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 8. უფროს ოფიცერთა შერჩევის საბჭოს შემადგენლობა და უფლებამოსილება

1. უფროს ოფიცერთა შერჩევის საბჭო შედგება თავმჯდომარისა და 6 წევრისაგან.

2. უფროს ოფიცერთა შერჩევის საბჭოს თავმჯდომარედ, 6 თვის ვადით, შეიძლება დაინიშნოს თავდაცვის ძალების მეთაურის პირველი მოადგილე/მოადგილე-გენერალური შტაბის უფროსი/მოადგილე.

3. უფროს ოფიცერთა შერჩევის საბჭოს წევრებად შეიძლება დაინიშნონ უმაღლესი სამხედრო წოდების მქონე ან/და ამ დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანამდებობებზე დანიშნული „პოლკოვნიკი“-ს სამხედრო წოდების მქონე პირები.

4. უფროს ოფიცერთა შერჩევის საბჭო განიხილავს:

ა) შერჩევის საკითხებს სისტემაში შემდეგი თანამდებობებისათვის:

ა.ა) „პოლკოვნიკი“-ს საშტატო კატეგორიით გათვალისწინებულ თანამდებობებს, გარდა:

ა.ა.ა) შერჩევის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას დაქვემდებარებული თანამდებობებისა;

ა.ა.ბ) თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში და სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტში არსებული თანამდებობებისა;

ა.ა.გ) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმაღლესი სამეთაურო სკოლის საზღვარგარეთ უმაღლეს სამეთაურო პროგრამაზე ჩარიცხული უფროს ოფიცერთა ჯგუფის უფროსი ოფიცრის თანამდებობისა;

ბრძანება N MOD 1 21 0000004 18.01.2021 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ა.ბ) ცენტრის/ბაზის მეთაური/უფროსი („ვიცე-პოლკოვნიკი“-ს საშტატო კატეგორიის), გარდა გენერალური შტაბის J-4 ლოჯისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის გადაადგილების ეროვნული საკოორდინაციო ცენტრისა;

ა.გ) სკოლის უფროსი/მეთაური („ვიცე-პოლკოვნიკი“-ს საშტატო კატეგორიის);

ა.დ) ბატალიონის მეთაური;

ა.ე) ესკადრილიის მეთაური/მოადგილე;

ა.ვ) ცენტრალური საკომანდო პუნქტის მეთაური;

ა.ზ) შტაბის უფროსი („ვიცე-პოლკოვნიკი“-ს საშტატო კატეგორიის);

ა.თ) თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიის მეთაური;

ა.ი) ბრიგადის მეთაურის მოადგილე;

ა.კ) სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორის მოადგილე;

ბ) იმ სამხედრო მოსამსახურეთა წოდებრივი დაწინაურების საკითხებს, რომლებიც წოდებრივად მიეკუთვნებიან უფროს ოფიცერთა შემადგენლობას ან/და უნდა დაწინაურდნენ უფროს ოფიცრებად, გარდა „პოლკოვნიკი“-ს სამხედრო წოდებაზე დაწინაურების საკითხებს;

გ) უფროს ოფიცერთა საზღვარგარეთ სასწავლო კურსებზე წარსაგზავნი კანდიდატების შერჩევის საკითხებს;

დ) იმ სასწავლო კურსებზე წარსაგზავნად შერჩევას, სადაც ერთ-ერთ კანდიდატად წარმოდგენილია სამხედრო მოსამსახურე უფროს ოფიცერთა შემადგენლობიდან;

ე) უფროს ოფიცერთა შემადგენლობის შეფასების გასაჩივრების საკითხებს.

5. უფროს ოფიცერთა შერჩევის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, საკითხს განიხილავს შერჩევის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 9. უმცროს ოფიცერთა შერჩევის საბჭოს შემადგენლობა და უფლებამოსილება

1. უმცროს ოფიცერთა შერჩევის საბჭო შედგება თავმჯდომარისა და 6 წევრისაგან.

2. უმცროს ოფიცერთა შერჩევის საბჭოს თავმჯდომარედ, 6 თვის ვადით, შეიძლება დაინიშნოს ამ დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირები, რომლებსაც აქვთ არანაკლებ „ვიცე-პოლკოვნიკის“ სამხედრო წოდება.

3. უმცროს ოფიცერთა შერჩევის საბჭოს წევრებად შეიძლება დაინიშნონ უფროსი ოფიცრის

სამხედრო წოდების მქონე ან/და ამ დებულების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირები.

4. უმცროს ოფიცერთა შერჩევის საბჭო განიხილავს:

ა) თანამდებობაზე შერჩევის საკითხებს სისტემაში შემდეგი თანამდებობებისთვის:

ა.ა) შტაბის უფროსი („მაიორი“-ს საშტატო კატეგორიის);

ა.ბ) სკოლის მეთაური („მაიორი“-ს საშტატო კატეგორიის);

ბ) მორიგი წოდების მინიჭების და სასწავლებლად წარგზავნის საკითხებს იმ სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცროს ოფიცერთა შემადგენლობას;

გ) უმცროს ოფიცერთა შემადგენლობის შეფასების გასაჩივრების საკითხებს.

5. უმცროს ოფიცერთა შერჩევის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, საკითხს განიხილავს უფროს ოფიცერთა საბჭო.

მუხლი 10. სერჟანტთა შერჩევის საბჭოს შემადგენლობა და უფლებამოსილება

1. სერჟანტთა შერჩევის საბჭო შედგება თავმჯდომარისა და 6 წევრისაგან.

2. სერჟანტთა შერჩევის საბჭოს თავმჯდომარედ, 6 თვის ვადით, შეიძლება დაინიშნოს მთავარი სერჟანტის სამხედრო წოდების მქონე პირი, რომელსაც უკავია არანაკლებ მთავარი სერჟანტის საშტატო კატეგორიის თანამდებობა.

3. სერჟანტთა შერჩევის საბჭოს წევრებად შეიძლება დაინიშნონ მთავარი სერჟანტის ან/და მასტერ-სერჟანტის სამხედრო წოდების მქონე მოსამსახურეები, რომლებსაც უკავიათ მთავარი სერჟანტის საშტატო კატეგორიის თანამდებობა.

4. სერჟანტთა შერჩევის საბჭო განიხილავს:

ა) თანამდებობაზე შერჩევის საკითხებს სისტემაში მთავარი სერჟანტის საშტატო კატეგორიის თანამდებობისათვის;

ბ) შერჩევის საკითხებს მასტერ-სერჟანტის საშტატო კატეგორიის შემდეგი თანამდებობებისათვის:

ბ.ა) ბატალიონის/ბაზის/ სერჟანტი;

ბ.ბ) კურსის/კურსების უფროსი;

ბ.გ) პუნქტის სერჟანტი;

ბ.დ) სკოლის სერჟანტი;

ბ.ე) ცენტრის სერჟანტი;

ბ.ვ) კურსის/კურსების სერჟანტი.

გ) მასტერ-სერჟანტის და მთავარი სერჟანტის მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების საკითხებს;

დ) სასწავლებლად წარგზავნის (გარდა მთავარი სერჟანტის კურსზე წარგზავნის) საკითხებს იმ სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან სერჟანტთა შემადგენლობას;

ე) სერჟანტთა შემადგენლობის შეფასების გასაჩივრების საკითხებს.

5. სერჟანტთა შერჩევის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, საკითხს განიხილავს უფროს ოფიცერთა საბჭო.

მუხლი 11. შერჩევის საბჭოს თავმჯდომარის, წევრის და მდივნის უფლებამოსილება

1. შერჩევის საბჭოს თავმჯდომარე:

- ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამხედრო მოსამსახურეთა შერჩევის პროცესს;
- ბ) აკონტროლებს შერჩევის საბჭოს მიერ ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას, მათ შორის შერჩევის კრიტერიუმების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაცვას;
- გ) საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია შერჩევის საბჭოს სხდომაზე გასაუბრების მიზნით, მოიწვიოს შესარჩევი კანდიდატი;
- დ) ვალდებულია არ გაამჟღავნოს ინფორმაცია შერჩევის საბჭოს შემადგენლობის და განსახილველი საკითხების შესახებ;
- ე) შერჩევის საბჭოს წევრთა ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში, სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2. შერჩევის საბჭოს წევრი:

- ა) მონაწილეობს სამხედრო მოსამსახურეთა პირადი საქმეების განხილვის პროცესში;
- ბ) გამოდის წინადადებით სპეციალური შეფასების ჩატარების თაობაზე;
- გ) იღებს გადაწყვეტილებას მის ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით;
- დ) ვალდებულია გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის შეტყობინების საფუძველზე გამოცხადდეს განსაზღვრულ დროსა და ადგილზე შერჩევის საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობისათვის;
- ე) ვალდებულია არ გაამჟღავნოს ინფორმაცია შერჩევის საბჭოს შემადგენლობის და განსახილველი საკითხების შესახებ.

3. შერჩევის საბჭოს მდივანი:

- ა) ახდენს შერჩევის საბჭოს განსახილველი მასალების კლასიფიცირებას;
- ბ) ანაწილებს მასალებს შერჩევის საბჭოს წევრებს შორის;
- გ) ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს;
- დ) ვალდებულია არ გაამჟღავნოს ინფორმაცია შერჩევის საბჭოს შემადგენლობის და განსახილველი საკითხების შესახებ;
- ე) აჯამებს შერჩევის საბჭოს წევრების მიერ დაწერილ ქულებს და წარუდგენს შერჩევის საბჭოს თავმჯდომარეს;
- ვ) ადგენს შერჩევის საბჭოს სხდომის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

მუხლი 12. შერჩევის საბჭოს თავმჯდომარისათვის/წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. შერჩევის საბჭოს თავმჯდომარისათვის/წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- ა) შერჩევის საბჭოს თავმჯდომარის/წევრის დასაბუთებული პირადი განცხადება/პატაკი;
- ბ) ამ დებულების მოთხოვნებისა და პროცედურების უხეში დარღვევა;
- გ) სხვა შემთხვევა, როდესაც შეუძლებელია შერჩევის საბჭოს თავმჯდომარის/წევრის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება.
- დ) ამ დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადის გასვლა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შერჩევის საბჭოს (გარდა, შერჩევის უმაღლესი საბჭოსი) თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის და შერჩევის საბჭოს ახალი თავმჯდომარის/წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თავდაცვის ძალების მეთაური ამ დებულებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 13. შერჩევის საბჭოს უფლებაუნარიანობა

1. შერჩევის საბჭო (გარდა შერჩევის უმაღლესი საბჭოსი) უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, თუ მას ესწრება შერჩევის საბჭოს თავმჯდომარე და არანაკლებ 5 წევრი.
2. შერჩევის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს მინისტრი, ხოლო შერჩევის სხვა საბჭოების გადაწყვეტილებას თავდაცვის ძალების მეთაური.
3. მინისტრის მიერ შერჩევის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ინიშნება შერჩევის საბჭოს ახალი სხდომა, რომელიც ხელახლა განიხილავს აღნიშნულ საკითხს. შერჩევის საბჭოს გადაწყვეტილების განმეორებით დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, საკითხის შემდგომი განხილვა წყდება.
4. თავდაცვის ძალების მეთაურის მიერ შერჩევის საბჭოების გადაწყვეტილების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ინიშნება შერჩევის საბჭოს სხდომა სხვა შემადგენლობით, რომელიც ხელახლა განიხილავს იმავე საკითხს. არსებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაში, გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა.
5. შერჩევის საბჭოს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგივე საკითხს განიხილავს საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი შერჩევის საბჭო ან არსებობს ასეთი შერჩევის საბჭოს განსხვავებული გადაწყვეტილება.

მუხლი 14. საბჭოს საქმიანობის დაგეგმვა

1. შერჩევის პროცესის დაგეგმვას და შერჩევის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრი.
2. გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრი:
 - ა) უზრუნველყოფს შერჩევის საბჭოს (გარდა შერჩევის უმაღლესი საბჭოსი) თავმჯდომარის/წევრების შერჩევას იმ მოსამსახურეთაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და იმავდროულად, გავლილი აქვთ შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებული ტრენინგი;
 - ბ) უფროს ოფიცერთა შერჩევის საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს, ხოლო წარდგენილი კანდიდატურის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში - წარუდგენს სხვა კანდიდატს;
 - გ) შერჩევის საბჭოს (გარდა შერჩევის უმაღლესი საბჭოსი და უფროს ოფიცერთა შერჩევის საბჭოს თავმჯდომარისა) თავმჯდომარედ/წევრებად შერჩეულ კანდიდატებს დასამტკიცებლად წარუდგენს თავდაცვის ძალების მეთაურს;
 - დ) უზრუნველყოფს შერჩევის საბჭოს (გარდა შერჩევის უმაღლესი საბჭოსი) თავმჯდომარეობის და წევრობის კანდიდატებისაგან შესაბამისი თანხმობის მიღებას, შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარებას და შერჩეული კანდიდატებისაგან მონაცემთა ბაზის შექმნას;
 - ე) პროაქტიულ რეჟიმში უზრუნველყოფს თავდაცვის ძალებში ამ დებულებით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე და სასწავლებლად წარსაგზავნად შერჩევის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, არსებული ვაკანსიების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, განცხადების/პატაკის წარდგენის ადგილის, ფორმისა და ვადების შესახებ) ხელმისაწვდომობას სამინისტროს შესაბამისი შიდა ელექტრონული რესურსის, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში - ქვედანაყოფში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მეშვეობით;

ვ) ახორციელებს შერჩევის პროცესში მონაწილე კანდიდატების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით შერჩევას და დაინტერესებული კანდიდატების მხრიდან შესაბამისი განცხადებების მიღებას, აგრეთვე შერჩევის პროცესში მონაწილე კანდიდატთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას და ყველა შესაბამისი კანდიდატის შერჩევის საბჭოსთვის განსახილველად წარდგენას;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს შერჩევის პროცესში მონაწილე კანდიდატების სპეციალურ და ფსიქოლოგიურ შემოწმებას შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩართულობით, აგრეთვე შედეგების შერჩევის საბჭოს შემადგენლობისთვის გაცნობას;

თ) ნიშნავს ყველა დონის შერჩევის საბჭოს მდივანს (შენიშვნა: შერჩევის საბჭოს მდივანი არ მონაწილეობს განხილვაში და არ სარგებლობს ხმის უფლებით), რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების ამსახველი დასკვნითი ოქმის მომზადებას;

ი) შერჩევის საბჭოს თავმჯდომარეს/წევრებსა და შერჩევის საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესარჩევ კანდიდატებს არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე აცნობებს შერჩევის პროცესის ჩატარების ზუსტ დროსა და ადგილს;

კ) შერჩევის საბჭოს თავმჯდომარეს/წევრებს შერჩევაში მონაწილე კანდიდატთა პირად საქმეებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და განსახილველ საკითხებს წარუდგენს შერჩევის საბჭოს სხდომის დღეს;

ლ) სხდომის დაწყებამდე შერჩევის საბჭოს წევრებს უტარებს ინსტრუქტაჟს შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებით, აგრეთვე შერჩევის საბჭოს თავმჯდომარეს/წევრებს წერილობით აფრთხილებს შერჩევის საბჭოს შემადგენლობის და განსახილველი საკითხების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის შესახებ;

მ) სათანადო აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალურ შემოწმების შედეგების გათვალისწინებით ან შერჩევის საბჭოს მიერ დადგენილი პროცედურების დარღვევით გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმართავს შერჩევის უმაღლეს საბჭოს სხვა შერჩევის საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით;

ნ) სამხედრო მოსამსახურეთა შეფასების გასაჩივრების საკითხის განხილვის დროს შერჩევის საბჭოს სხდომაზე გამოიძახებს შეფასებულ სამხედრო მოსამსახურეს, შემფასებელსა და უფროს შემფასებელს, მოიძიებს ყველა საჭირო მასალას, დოკუმენტაციას და წარადგენს შერჩევის საბჭოს წინაშე;

ო) ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი IV

შერჩევის პროცესი

მუხლი 15. შერჩევის საბჭოს სხდომის თავმჯდომარის/წევრების შერჩევის პროცესი

1. შერჩევის საბჭოს სხდომისათვის თავმჯდომარის და წევრების (გარდა შერჩევის უმაღლესი საბჭოსი და უფროს ოფიცერთა შერჩევის საბჭოს თავმჯდომარისა) კანდიდატურები შეირჩევა გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის მიერ შესაბამისი მონაცემთა ბაზიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს შერჩევის

საბჭოს ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვედანაყოფების წევრთაგან. აღნიშნულ პროცესს მონიტორინგს უწევს სამინისტროს გენერალური ინსპექციის წამომადგენელი.

2. შერჩეული კანდიდატები დასამტკიცებლად წარედგინება თავდაცვის ძალების მეთაურს. წარდგენილი კანდიდატის/კანდიდატების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრი წარადგენს სხვა კანდიდატს/ კანდიდატებს.

მუხლი 16. შერჩევის საბჭოს სხდომის ზოგადი პროცედურები

1. შერჩევის საბჭოს სხდომას ხსნის და დღის წესრიგის პროექტს შერჩევის საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგენს შერჩევის საბჭოს თავმჯდომარე.

2. შერჩევის საბჭოს მდივანი შერჩევის საბჭოს წევრებს აცნობს და ურიგებს სათანადო მასალებს შერჩევის საბჭოს პროცედურებისა და შესარჩევი კანდიდატების შესახებ.

3. მასალების მიღების შემდეგ, შერჩევის საბჭო (გარდა შერჩევის უმაღლესი საბჭოსი) იყოფა 2 (ორი) ჯგუფად (გარდა ფარული კენჭისყრისა) და თითოეული ჯგუფის წევრი ინდივიდუალურად განიხილავს კანდიდატებს და აფასებს მათ ამ დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

4. შერჩევის საბჭოს თავმჯდომარე არ მონაწილეობს შერჩევის საბჭოს ჯგუფების მუშაობაში, ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ კანდიდატს და აღნიშნულ შეფასებას იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფების მიერ გაკეთებული შეფასებებით ვერ ხდება კანდიდატის შერჩევა.

5. დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე სხდომას დასრულებულად აცხადებს.

6. შერჩევის საბჭოს სხდომას (გარდა შერჩევის უმაღლესი საბჭოსი) დამკვირვებლის სტატუსით ესწრება სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი, რომელსაც შესარჩევი კანდიდატების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა შერჩევის პროცესის ჩატარებამდე 7 (შვიდი) სამუშაო დღით ადრე.

ბრძანება N MOD 8 19 00000734 17.12.2019 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

მუხლი 17. შერჩევის მეთოდი

1. კანდიდატთა შერჩევის მეთოდი შეიძლება იყოს:

ა) ქულების მინიჭებით;

ბ) ღია ან ფარული კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით.

2. კანდიდატების შერჩევა ქულების მინიჭებით ხორციელდება თანამდებობაზე შერჩევის და სასწავლებლად წარგზავნის (გარდა, უცხო ენის შემსწავლელი სასწავლო კურსებისა) დროს.

3. კანდიდატების შერჩევა ღია ან ფარული კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით ხორციელდება წოდებრივი დაწინაურების და უცხო ენის შემსწავლელ სასწავლო კურსებზე წარგზავნის დროს.

მუხლი 18. კანდიდატთა შერჩევა ქულების მინიჭებით

1. შერჩევის საბჭოს თავმჯდომარე და წევრები, განსახილველი საკითხის თემატიკიდან და

შინაარსიდან გამომდინარე, შერჩევის პროცესის დაწყების წინ, შერჩევის ყოველი კრიტერიუმისათვის, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხმათა უმრავლესობით, განსაზღვრავენ ქულათა კოეფიციენტს (წონას) "0"-დან "3"-ის ჩათვლით, რომელიც ფიქსირდება დანართი №1-ის კოეფიციენტის გრაფაში. კრიტერიუმებისათვის, რომელსაც შერჩევის საბჭო თითოეულ კონკრეტულ საკითხზე მიიჩნევს უფრო მეტად მნიშვნელოვნად, განისაზღვრება უფრო მაღალი ქულა.

2. კონკრეტული კრიტერიუმისათვის "1"-დან "3"-ის ჩათვლით კოეფიციენტის (წონის) მინიჭების შემთხვევაში, თითოეული კანდიდატისათვის შერჩევის საბჭოს წევრის მიერ ამ კრიტერიუმებზე მინიჭებული ქულა (დანართი N1-ის ქულის გრაფა), შედეგების შეჯამებამდე, გამრავლდება შერჩევის საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრულ კოეფიციენტზე (წონაზე). კრიტერიუმისათვის „0“ კოეფიციენტის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატების შეფასება არ განხორციელდება.

3. შერჩევის საბჭოს მიერ კანდიდატის საბოლოო შეფასების გამოსაყვანად, იკრიბება თითოეული წევრის დაჯამებული ქულა და იყოფა ქულათა მიმნიჭებელ შერჩევის საბჭოს წევრთა რაოდენობაზე. ქულობრივი მეთოდით შერჩევისას, უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელიც მიიღებს უმაღლეს ქულას.

4. შერჩევის საბჭოს წევრის მიერ მკვეთრად განსხვავებული ქულის (სამი და მეტი ქულის სხვაობა) დაფიქსირების შემთხვევაში, შერჩევის საბჭოს წევრი ვალდებულია, შერჩევის საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე, დაასაბუთოს განსხვავებული ქულის მინიჭების მიზეზი, რომელსაც შერჩევის საბჭოს მდივანი ასახავს ოქმში.

5. შერჩევის საბჭოს წევრს შეუძლია სხდომის ფარგლებში შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება და ხელმოწერით დაადასტუროს ცვლილება დანართი N1-ის შენიშვნის გრაფაში.

6. შერჩევის საბჭოს წევრების, ხოლო ამ დებულების მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში (შესარჩევ პოზიციაზე ორი ან მეტი კანდიდატის მიერ თანაბარი ქულების დაგროვება), აგრეთვე შერჩევის საბჭოს თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ შეფასებებს (დანართი N1) აჯამებს, საბოლოო ფორმაში ასახავს (დანართი N2) და შერჩევის საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგენს სხდომის მდივანი.

7. შერჩევის საკითხთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას შერჩევის საბჭოს წევრებს გააცნობს შერჩევის საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 19. კანდიდატთა შერჩევა ღია ან ფარული კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით

1. ამ დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ხმის მიცემის ერთ-ერთი მეთოდის გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს შერჩევის საბჭო, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში.

2. შერჩევის საბჭოს წევრები, ჯგუფების ფარგლებში იხილავენ თითოეული შესარჩევი კანდიდატის შესახებ მასალებს და ხმების უბრალო უმრავლესობით ავლენენ შერჩეულ კანდიდატს/კანდიდატებს, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს შერჩევის საბჭოს თავმჯდომარე.

3. ფარული კენჭისყრისას, შერჩევის საბჭოს წევრი ავსებს დანართი N3-ით დადგენილ ფორმას, ხოლო სხდომის მდივანს შედეგები გადააქვს დანართი N4-ით განსაზღვრულ ფორმაში და ადგენს პრიორიტეტულ სიას. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს შერჩევის საბჭოს თავმჯდომარე.

4. უცხო ენის შემსწავლელ სასწავლო კურსზე შერჩევისას, უპირატესობა მიენიჭება უმაღლესი ქულის მქონე კანდიდატს, ხოლო წოდებრივი დაწინაურებისას - კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება ხმათა უმრავლესობით, რაც ფიქსირდება შემაჯამებელ ოქმში.

მუხლი 20. შერჩევის საბჭოს გადაწყვეტილება

1. განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით შერჩევის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) თანამდებობაზე/სასწავლებლად შესარჩევ კანდიდატებს (გარდა, უცხო ენის შემსწავლელი სასწავლო კურსებისა) შორის ერთი ან რამოდენიმე საუკეთესო კანდიდატის შერჩევის (პირითადი და ალტერნატიული კანდიდატები) ან არასაკმარისი ქულათა რაოდენობის გამო კანდიდატთა ვერშერჩევის შესახებ;

ბ) სამხედრო მოსამსახურეთა წოდებრივ დაწინაურებაზე დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება;

გ) უცხო ენის შემსწავლელ სასწავლო კურსებზე შესარჩევ კანდიდატებს შორის ერთი ან რამოდენიმე საუკეთესო კანდიდატის შერჩევის ან ვერშერჩევის შესახებ;

დ) შესარჩევ კანდიდატთა პრიორიტეტული სიის შედგენა, რომლის მიხედვითაც მომავალში, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება კონკრეტული კანდიდატის თანამდებობაზე დანიშვნა ან/და სასწავლებლად წარგზავნა, თუ ისინი იმ მომენტისათვის დააკმაყოფილებენ კონკრეტული მიზნისათვის სხვა აუცილებელ მოთხოვნებს და შერჩევის პროცესიდან არ არის გასული 18 (თვრამეტი) თვე, ხოლო თუ ამ პერიოდში ჩატარებულია სხვა შერჩევის პროცესი, გადაწყვეტილება პირის თანამდებობაზე დანიშვნის ან პირის სასწავლებლად წარგზავნის შესახებ მიიღება ახალი პრიორიტეტული სიის მიხედვით;

ე) სისტემაში შენარჩუნების ან სხვა სპეციალური მიზნით შერჩევის შესახებ;

ვ) შეფასების შედეგებთან დაკავშირებით განსახილველი საჩივრის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

ზ) შერჩევის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების, გაუქმების ან/და საკითხის ხელახლა განხილვის შესახებ ამ დებულებით დადგენილი წესით.

2. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შერჩევის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, გარდა ქულობრივი მეთოდით შეფასებისას.

3. ქვედანაყოფში განხორციელებული რეორგანიზაციის ან/და სამტატო ოპტიმიზაციის დროს (შტატების შემცირება), სამხედრო მოსამსახურის იგივე ან იდენტურ შერჩევის საბჭოს ქვემდებარე თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება შერჩევის საბჭოს მიერ მიღებული ბოლო გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშნიდან არ არის გასული 2 წელზე მეტი.

თავი V

შერჩევის საბჭოს შემაჯამებელი ოქმი

მუხლი 21. შერჩევის საბჭოს შემაჯამებელი ოქმი

1. შერჩევის პროცესის შედეგები აისახება შემაჯამებელ ოქმში.
2. შემაჯამებელ ოქმში აისახება:
 - ა) შერჩევის საბჭოს სახეობა და ოქმის ნომერი;
 - ბ) სხდომის ჩატარების თარიღი და ადგილი;
 - გ) შერჩევის საბჭოს შემადგენლობა/ჯგუფების შემადგენლობა;
 - დ) დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები;
 - ე) განსახილველი საკითხების შესაბამისად გამოყენებული შერჩევის მეთოდი;
 - ვ) განხილული კანდიდატები;
 - ზ) შერჩევის შედეგები;
 - თ) შერჩევის საბჭოს გადაწყვეტილება;
 - ი) შერჩევის საბჭოს წევრის მიერ განსხვავებული ქულის მინიჭების მიზეზი.
3. შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერს შერჩევის საბჭოს თავმჯდომარე, დამსწრე წევრები და მდივანი.
4. შემაჯამებელ ოქმს თან ერთვის შევსებული დანართი N1 და დანართი N2.
5. შემაჯამებელ ოქმს (საოქმო გადაწყვეტილებას) ამტკიცებენ ამ დებულებით განსაზღვრული პირები.

თავი VI

შერჩევის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება

მუხლი 22. შერჩევის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. შერჩევის საბჭოს (გარდა შერჩევის უმაღლესი საბჭოს) გადაწყვეტილება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში.
2. შერჩევის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს სასწავლებლად კანდიდატთა წარდგენის პროცედურას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეჩერება საფრთხეს არ უქმნის შერჩეული კანდიდატის სასწავლებლად წარგზავნას.
3. შერჩევის შედეგების გასაჩივრება ხდება მხოლოდ განხილული კანდიდატ(ებ)ის მიერ არგუმენტირებული საჩივრით შერჩევის უმაღლეს საბჭოში ან უფროს ოფიცერთა შერჩევის საბჭოში დებულებით დადგენილი წესის მიხედვით.
4. საჩივარი ერთი კვირის ვადაში განიხილება შესაბამისი შერჩევის საბჭოს მიერ.

საბჭოს წევრის მიერ სამხედრო მოსამსახურის შეფასების ერთიანი ცხრილი

განსახილველი საკითხი N :

კრიტერიუმების მიხედვით საბჭოს შემადგენლობის მიერ განსაზღვრული კოეფიციენტი (წონა)	ძირითადი კრიტერიუმები						დამატებითი კრიტერიუმი
	1. ნამსახურება თანამდებობების მიხედვით	2. სამხედრო განათლება	3. სამოქალაქო განათლება	4. სამხედრო მოსამსახურის პოტენციალი და პიროვნული/პროფესიული თვისებები	5. ფიზიკური მომზადების ტესტის ქულები	6. საკარიერო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე მიღებული შედეგები	ჯილდოები

განსახილველი კანდიდატების შეფასება თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ხორციელდება 10 ქულიანი შეფასების ქულათა სისტემით, მე-5 და მე-6 ძირითადი კრიტერიუმის გარდა

კანდიდატის წოდება, სახელი, გვარი.	შეფასების ქულები კრიტერიუმების მიხედვით															შენიშვნა/ხელმოწერა შესწორებაზე:
	ძირითადი კრიტერიუმები														დამატებითი კრიტერიუმი	
	1. ნამსახურება თანამდებობების მიხედვით		2. სამხედრო განათლება		3. სამოქალაქო განათლება		4. სამხედრო მოსამსახურის პოტენციალი და პიროვნული/პროფესიული თვისებები		5. ფიზიკური მომზადების ტესტის ქულები		6. საკარიერო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე მიღებული შედეგები		ჯილდოები			
	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	I	II		

შენიშვნა:

- შერჩევის კრიტერიუმის კოეფიციენტი (წონა) (0,1,2,3) განისაზღვრება შერჩევის საბჭოს თავმჯდომარის და წევრების მიერ, თითოეული განსახილველი საკითხის შესაბამისად, სხდომის დაწყებისთანავე.
- საბჭოს წევრი დამატებითი განხილვისას შეფასების ქულის შესწორების შემთხვევაში, გადახაზავს ძველ ქულას (/) და ახალ ქულას წერს მის მარჯვნივ, იმავე სვეტში, რასაც (კრიტერიუმის გრაფის ნომრის მითითებით) ადასტურებს ხელმოწერით გრაფაში „შენიშვნა (ხელმოწერა შესწორებაზე)“.
- თითოეული კრიტერიუმის მიხედვით მარცხენა სვეტში (მხარეს) იწერება წინასწარი შეფასების ქულა (მათ შორის შესწორებისას, რომელიც უნდა დაფიქსირდეს შენიშვნის გრაფაში), ხოლო მარჯვენა მხარეს იწერება მხოლოდ დამატებითი განხილვის შემდეგ დაფიქსირებული ქულა.
- მე-6 კრიტერიუმის („საკარიერო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე მიღებული შედეგები“) გამოყენება სავალდებულოა მხოლოდ იმ საკარიერო პროგრამაზე წარსაგზავნი კანდიდატის შერჩევისას, რომელიც შერჩევის პროცედურამდე ითვალისწინებს მისაღები გამოცდის ჩაბარებას (აღნიშნული კრიტერიუმის კოეფიციენტად (წონა) არ განისაზღვრება 0).
- მე-5 და მე-6 კრიტერიუმებზე ქულათა მინიჭება ხდება წინასწარ დანართი N1-ის დამატებაში განსაზღვრული შეფასების ცხრილის მიხედვით.

საბჭოს წევრი/თავმჯდომარე: _____
(წოდება, სახელი, გვარი, ხელმოწერა)

მდივანი: _____
(წოდება, სახელი, გვარი, ხელმოწერა)

დანართ N1-ში გაწერილი შეფასების კრიტერიუმების (N5 და N6) მიხედვით განსაზღვრული შეფასებათა ცხრილი

კრიტერიუმი ქულა	ფიზიკური მომზადების ტესტის ქულები	საკარიერო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე მიღებული შედეგები
5	276-300 ქულა	92-100 ქულა
4	252-275 ქულა	84-91 ქულა
3	228-251 ქულა	76-83 ქულა
2	204-227 ქულა	68-75 ქულა
1	180-203 ქულა	60-67 ქულა

შენიშვნა:

ფიზიკური მომზადების შედეგები ფასდება ბოლო სამი წლის მანძილზე მიღებული ბოლო 3 დადებითი შეფასების (ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით ასეთის არ არსებობის შემთხვევაში ბოლო 2 ან ერთი დადებითი შეფასების) საშუალო არითმეტიკულის მიხედვით.

სამხედრო მოსამსახურის შეფასების ერთიანი ცხრილი

სამხედრო მოსამსახურე:

კომისიის წევრები (წოდება, სახელი, გვარი)	შეფასების ქულები კრიტერიუმების მიხედვით															შენიშვნები:	
	ძირითადი კრიტერიუმები												დამატებითი კრიტერიუმი		ქულათა ჯამი დამატებითი კრიტერიუმის ჩათვლით		
	1. ნამსახურება თანამდებობების მიხედვით		2. სამხედრო განათლება		3. სამოქალაქო განათლება		4. სამხედრო მოსამსახურის პოტენციალი და პროფესიული/პროფესიული თვისებები		5. ფიზიკური მომზადების ტესტის ქულები		6. საკარიერო პროგრამებზე მისაღებ გამოცდაზე მიღებული შედეგები		ჯილდოები				
	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	I	II			
ქულათა ჯამი (პირველადი)																	საბოლოო შეფასების ქულა (ქულათა ჯამი გაყოფილი წევრთა რაოდენობაზე) -----
შერჩევის კრიტერიუმის კოეფიციენტი (წონა)																	
კანდიდატის შემაჯამებელი ქულა (საბოლოო)																	

შენიშვნა:
 1. შეფასების კრიტერიუმების თითოეული გრაფის I და II სვეტებში აღნიშნება შერჩევის საბჭოს წევრების მიერ განსახილველი კანდიდატისთვის მინიჭებული ქულა: I – შეფასების ქულა; II – საბოლოო შეფასების ქულა (დამატებითი განხილვის შედეგად შერჩევის საბჭოს წევრის/თავმჯდომარის მიერ შესწორების შემთხვევაში)
 2. დამატებითი განხილვისას საბჭოს წევრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის შემთხვევაში, შესაბამისი კრიტერიუმის I სვეტში დაწერილი შეფასების ქულა გადაიხაზება (/) და II სვეტში დაიწერება საბოლოო შეფასების ქულა, ხოლო აღნიშნულ ცვლილებას (კრიტერიუმის გრაფის ნომრის მითითებით) საბჭოს წევრი ადასტურებს ხელმოწერით გრაფაში „შენიშვნა“.
 3. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი ვერ გადალახავს შესაძლო მაქსიმალური ქულათა ჯამის 30%-იან ბარიერს, იგი მოიხსნება განხილვიდან.
 4. დამატებითი კრიტერიუმის („ჯილდოები“) მიხედვით კანდიდატის შეფასება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კანდიდატები დააგროვებენ თანაბარ ქულებს ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით და საკითხი დადგება დამატებით განხილვაზე. აღნიშნულ შემთხვევაში, დამატებით განხილვაზე გადიან მხოლოდ თანაბარი ქულების მქონე კანდიდატები. ჯილდოს მიხედვით შეფასებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. ასეთ შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს თავმჯდომარე:

მდივანი:

შერჩევის საბჭოს თავმჯდომარის/წევრის ფარული კენჭისყრის ფურცელი

განსახილველი საკითხი №

კანდიდატი №	წოდება	სახელი, მამის სახელი, გვარი	პრიორიტეტული ადგილი (განისაზღვრება კანდიდატთა რაოდენობის შესაბამისად)	შენიშვნა

- შენიშვნა: 1. თავმჯდომარის/წევრების მიერ პრიორიტეტული ადგილების შესაბამის ქულაზე გადაყვანას ახორციელებს საბჭოს მდივანი.
2. შეფასების ქულათა ოდენობა განისაზღვრება წარმოდგენილი კანდიდატების რაოდენობის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარე/წევრი

(წოდება, სახელი, გვარი, ხელმოწერა)

ფარული კენჭისყრის შემაჯამებელი ფურცელი
(ივსება შერჩევის საბჭოს მდივნის მიერ)

კანდიდატი

შერჩევის საბჭოს თავმჯდომარე/წევრი:	პრიორიტეტული ადგილი	შესაბამისი ქულა	შენიშვნა
ქულათა ჯამი			

შერჩევის საბჭოს მდივანი -----

(წოდება, სახელი, გვარი, ხელმოწერა)

